

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა



სვანეთში, შსს-ს სპეცრაზმის თანხლებით „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰესების მშენებლობის განახლების შესახებ

2017 წლის ივნისში, საქართველოს მადამთიან რეგიონში, ზემო სვანეთში (მესტიის მუნიციპალიტეტი) დაიწყო 50 მგვტ-ი ჯამური სიმძლავრის „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ბოლო ცხრა თვის განმავლობაში მშენებლობა სულ მცირე სამჯერ გაჩერდა. ორჯერ სამშენებლო მოედანი, მუნიციპალური და კერძო საკუთრებები წყალდიდობამ დააზიანა, წყალმა წაიღო მშენებელი კომპანიის ტექნიკა და უკვე მოწყობილი ინფრასტრუქტურა დაანგრია. თუმცა, მშენებლობა არ შეჩერდა, არც პროექტის რევიზია ჩატარდა და არც მოსახლეობის შენიშვნები და მოთხოვნები იქნა გათვალისწინებული. გაზაფხულზე მოსალოდნელმა წყალდიდობამ და მისგან გამომდინარე საფრთხეების უგულველყოფამ ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესი პროტესტი გამოიწვია, რის გამოც მშენებლობა ისევ შეჩერდა. მოსახლეობა უნდობლობას უცხადებდა (და დღემდე უცხადებს), „მესტიაჭალა ჰესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო პერიოდში მომზადებული გზშ-ებით აშენებულ არაერთ ჰესსე შეიქმნა უმძიმესი პრობლემები (ლარსი ჰესი, ბახვი ჰესი, კირნათი ჰესი, შუახევის ჰესი). ხოლო, 2014 წელს მდ. თერგზე გახსნილი „ლარსი ჰესი“ რომელიც ღვარცოფმა ზედიზედ სამჯერ დაანგრია და 11 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 2016 წლიდან გაჩერებულია.

ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე და არგუმენტირებული პროტესტის შემდეგ „მესტიაჭალა ჰესის“ მშენებლობა რამოდენიმე ხნით ისევ შეჩერდა, თუმცა 9 მაისს დილით, ათობით სპეცრაზმელის თანხლებით ჰესების მშენებლობა განახლდა. შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის კახა საბანაძის განცხადებით, მესტიაში ჰესების მშენებლობის გაგრძელების გადაწყვეტილება შსს-ში 8 მაისს გამართულ შეხვედრაზე, სვანეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მიიღეს. თუმცა ირკვევა, რომ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, ვინც სვანეთში ჰესების მშენებლობას აპროტესტებს, შსს-ში ჩატარებული შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდა.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო შეშფოთებული ვართ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ქმედებით და ვშიშობთ, რომ ის უკვე უწყებრივ ვალდებულებად თვლის გარემოს დაცვითი და სოციალური პრობლემების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სპეცდანიშნულების რაზმების გამოყენებას (იგივე

მოხდა დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, (მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობის გაპროტესტებისას), რაც თავის მხრივ გარკვეული ეჭვების საფუძველს იძლევა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველო არის ორჰუსის კონვენციის მხარე ქვეყანა და მთავრობამ არათუ უგულველყო კონვენციის ყველა მოთხოვნა და საზოგადოება მთლიანად ჩამოაშორა რეგიონში განვითარებულ მოვლენებში მონაწილეობას, არამედ მათ „დასარწმუნებლად“ გამოიყენა ძალისმიერი მეთოდები - რაც კატეგორიულად დაუშვებელია!